



ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია  
წარმომადგენელი მედიის თავისუფლების საკითხებში  
ჰარლემ დეზირი

სამხრეთ კავკასიის მე-15 მედია კონფერენცია  
ხარისხიანი ჟურნალისტიკა სარწმუნო და დამაჯერებელი  
ინფორმაციისთვის

18-19 ივლისი, 2018, თბილისი, საქართველო

### რეკომენდაციები

*წინამდებარე დოკუმენტში შეჯამებულია ძირითადი მოსაზრებები და რეკომენდაციები, რომლებიც 2017 წლის 18-19 ივლისს თბილისში, საქართველოში, განიხილა მედიის თავისუფლების საკითხებში ეუთოს წარმომადგენლის ოფისის მიერ ორგანიზებული სამხრეთ კავკასიის ყოველწლიური მე-15 მედია კონფერენციის 70-ზე მეტმა მონაწილემ სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და საქართველოდან.*

*კონფერენცია ეხებოდა რეგიონში თავისუფალი მედიისა და გამოხატვის თავისუფლების კუთხით არსებულ გამოწვევებსა და საუკეთესო პრაქტიკას პროფესიული ჟურნალიზმისა და ინფორმაციის ხარისხის გასაუმჯობესებლად.*

**კონფერენციის მონაწილეებმა განიხილეს შემდეგი ათი მოსაზრება:**

1. თავისუფალ და დამოუკიდებელ მედიას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს დემოკრატიული საზოგადოებების გაძლიერებაში, „სიძულვილის ენის“, არასწორი ინტერპრეტაციისა

და ცრურწმენების წინააღმდეგ ბრძოლაში სარწმუნო და დამაჯერებელი ინფორმაციის შემუშავებისა და გავრცელების გზით.

2. „სიძულვილის ენის“, ტერორიზმისა და ექსტრემიზმის, რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის დროს საჭიროა თანამშრომლობა ყველა საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციას შორის.
3. ინფორმაციის თავისუფლება, განსაკუთრებით კი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, განაპირობებს საჯარო პოლიტიკის სფეროში ღიაობასა და ანგარიშვალდებულებას და საშუალებას აძლევს სამოქალაქო საზოგადოებას, მათ შორის, მედიას, ხელი შეუწყოს ეფექტიან მმართველობას, რაც, თავის მხრივ, განამტკიცებს რეგიონში მშვიდობასა და უსაფრთხოებას.
4. სოციალური ქსელის პლატფორმები, შეტყობინებების აპლიკაციები და საინფორმაციო აგრეგატორები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ახალი ამბების გავრცელებაში და აძლევენ შესაძლებლობებს ტრადიციულ მედიას ინოვაციური და წარმატებული ბიზნესმოდელების განვითარებისათვის ციფრულ საუკუნეში.
5. პროფესიული სტანდარტების, მედიის თვითრეგულაციებისა და სხვა შესაბამისი მექანიზმების ნებაყოფლობით მიღება ჟურნალისტებისა და მედიის სხვა წარმომადგენლების მხრიდან აუცილებელია პროფესიონალიზმის ასამაღლებლად, სანდოობისა და ეთიკური სტანდარტების დასაცავად სამხრეთ კავკასიაში.
6. მედიის თავისუფლების პატივისცემისა და დაცვის პირობებში მთავრობებმა უნდა გაითვალისწინონ მედიის წინაშე არსებული სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები.
7. დამოუკიდებელი საზოგადოებრივი სამაუწყებლო საშუალებები, მათი არაკომერციული სტატუსის, კანონმდებლობით დადგენილი მანდატისა და საზოგადოებრივი ინტერესების წინაშე ანგარიშვალდებულების გათვალისწინებით, ემსახურება ხარისხიან

ჟურნალისტიკას და მნიშვნელოვან საყრდენს წარმოადგენს მედიაგარემოსათვის ეუთოს მასშტაბით.

8. ჟურნალისტიკა სამხრეთ კავკასიაში სულ უფრო მეტად დგება გამოწვევების წინაშე, რაც უკავშირდება ტრადიციულ და სოციალურ მედიაში დეზინფორმაციისა და პროპაგანდის მზარდ გავრცელებას.
9. მედიაგანათლება, მედიის მიერ წარმოდგენილი ინიციატივების ჩათვლით, მნიშვნელოვანია იმის უზრუნველსაყოფად, რომ ჩვენი საზოგადოებები უკეთესად მოემზადონ, მიიღონ ინფორმაციაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები და გამოავლინონ მოქნილობა სარწმუნო ინფორმაციის იდენტიფიცირებისათვის.
10. კარგი პრაქტიკა, როდესაც საქმე ეხება დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლას: ხელს უნდა უწყობდეს და განამტკიცებდეს თავისუფალ მედიას; უზრუნველყოფდეს, რომ თავისუფალ გამოხატვაში ნებისმიერი ჩარევა დადგენილი იყოს ხელმისაწვდომი, ზუსტი, მკაფიო და განჭვრეტადი კანონით; ემსახურებოდეს კანონიერ მიზნებს, როგორც ამას ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებები; და თავიდან აცილებდეს ნებისმიერ არასაჭირო ან არაპროპორციულად უარყოფით ზემოქმედებას ინფორმაციის თავისუფალ მიმოქცევაზე.

**ამ თვალსაზრისით ეუთოს წარმომადგენელი მედიის თავისუფლების საკითხებში იძლევა შემდეგ რვა რეკომენდაციას, რომლებიც განხილული იქნა კონფერენციაზე:**

1. ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რომელსაც უზრუნველყოფს საჯარო ხელისუფლება, საკვანძო მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის ხარისხისათვის. მთავრობებმა უნდა გაზარდონ გამჭვირვალობის ხარისხი ზუსტი და დროული ინფორმაციის უზრუნველსაყოფად, სარწმუნო სტატისტიკის ჩათვლით, სათანადოდ ინფორმირებული და ინკლუზიური საჯარო დიალოგის ხელშეწყობის

თვალსაზრისით როგორც თავიანთი ქვეყნებში, ისე სამხრეთი კავკასიის მასშტაბით.

2. ეროვნული უსაფრთხოება და კონტრტერორისტული ღონისძიებები არამართებულად არ უნდა ზღუდავდეს გამოხატვის თავისუფლებას, მთავრობებმა უნდა დაადასტურონ თავიანთი ვალდებულებები მედიის თავისუფლებისა და გამოხატვის თავისუფლების მიმართ უსაფრთხოების ახალ კონტექსტში. მედიის თავისუფლება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს უსაფრთხოებას.
3. უფრო მეტი ქმედება უნდა განახორციელოს ყველა დაინტერესებულმა მხარემ იმის უზრუნველსაყოფად, რომ ინტერნეტი დარჩეს ღია და საზოგადოებრივ ფორუმად აზრისა და გამოხატვის თავისუფლებისათვის, როგორც ეს ხორცშესხმულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, და წახალისდეს ინტერნეტის თავისუფალი ხელმისაწვდომობა.
4. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მედიის მარეგულირებელი ორგანოების დამოუკიდებლობა და მას პატივს სცემდეს ყველა სახელმწიფო, აგრეთვე მედიის წარმომადგენლები უკანონო პოლიტიკური თუ ეკონომიკური ჩარევის თავიდან ასაცილებლად.
5. მედიის პროფესიონალებმა არსებითი ძალისხმევა უნდა მიმართონ რეგიონში ტრანსნაციონალური თვითრეგულირების სფეროში თანამშრომლობის გაძლიერების კუთხით, რათა წახალისონ ტოლერანტობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის საერთო ღირებულებები და პროფესიული სტანდარტები.
6. მედიაგანათლება უნდა იყოს სასწავლო პროგრამების პრიორიტეტი. მედიის მისია უნდა იყოს, ხელი შეუწყოს მედიაგანათლების პოპულარიზაციას, მათ შორის, დეზინფორმაციისა და პროპაგანდისტული კამპანიების კრიტიკულად გაშუქებას, ასევე ცნობიერების ამაღლებას მედიის თავისუფლების ღირებულებისა და ჟურნალისტიკის ხარისხის

აღქმის თაობაზე. უნდა შემუშავდეს და წახალისდეს ფაქტის შემოწმების ინიციატივები.

7. საზოგადოებრივი მედია უნდა იძლეოდეს იმის მაგალითს, თუ როგორ უნდა მიეწოდოს ხარისხიანი ინფორმაცია საუკეთესო პროფესიული პრაქტიკისა და ეთიკის სტანდარტების შესაბამისად. სამართლებრივი ბაზა უნდა უზრუნველყოფდეს მათ დამოუკიდებლობას და მდგრად ფინანსებს.
8. მედიის თავისუფლების საკითხებში ეუთოს წარმომადგენლის ოფისი წარმოადგენს შესაბამის რეკომენდაციებს მედიის თავისუფლებასა და ხარისხიან ჟურნალისტიკაზე დეზინფორმაციის ზემოქმედების უკეთ გააზრების ხელშეწყობისა და ამ ფენომენზე შესაბამისი, აუცილებელი და სათანადო რეაგირების მიზნით.

\*\*\*\*\*